პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
7 სექტემბერი
№ 206 (17849)
ფასი 2 კაპ.

მ ი ლ ო ც ვ ა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ სტანისლავ კანიას

ძვირფასო ამხანაგო კანია,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გილოცავთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევას. საბჭოთა კომუნისტებმა, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა [illegible] ბრძოლს ხალხის ნამდვილი ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, როგორც მოღვაწეს, რომელიც ურყევად დგას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა კავშირთან და სხვა მომძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის პოზიციებზე.

პოლონელი ხალხის სოციალისტური მონაპოვრების განმტკიცებისათვის ბრძოლის პირობებში თქვენ იჩენთ პრინციპულობას, სიმამაცესა და კომუნისტური მოვალეობის მაღალ შეგნებას.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც აქვს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები და რომელიც მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესების გამომხატველია, პოლონელი ხალხი სწრაფად გადაწყვეტს რთულ ამოცანებს და გადალახავს ქვეყნის წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს, დაირაზმება სოციალიზმის იდეალებისა და სახალხო პოლონეთის აყვავებისათვის ბრძოლაში. ვუსურვებთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროსა და პირადად თქვენ დიდ წარმატებებს ამ პასუხსაგებ და კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი კვლავაც ყოველმხრივ განამტკიცებენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევ ძმობას — ჩვენი ორი ხალხის დიად მონაპოვარს.

დაე, მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ერთიანობა — საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საწინდარი, სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების დიდმნიშვნელოვანი რგოლი.

ლ. ბრეჟნევი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იუზეფ პინკოვსკის

პატივცემულო ამხანაგო პინკოვსკი,

საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად გილოცავთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნას.

გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური მეგობრობა, ურღვევი ერთიანობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რაც მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ემყარება, კვლავაც განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესების, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების ინტერესების შესაბამისად.

გისურვებთ, ამხანაგო თავმჯდომარევ, წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მოღვაწეობაში სოციალისტური პოლონეთის საკეთილდღეოდ.

ა. კოსიგინი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია

სტანისლავ კანია დაიბადა 1927 წლის 8 მარტს კროსნოს სავოევოდოს სოფელ ვროცანკაში, მცირემიწიანი გლეხის ოჯახში. მან დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის ეკონომიკის განყოფილება.

1942 წლიდან იგი მუშად მუშაობდა ერთ-ერთ სამრეწველო საწარმოში. 1944 წელს მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში გლეხთა ბატალიონების რიგებში.

პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ იგი იყო პოლონეთის ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1945 წლის აპრილში შევიდა პოლონეთის მუშათა პარტიაში. აქტიურად მონაწილეობდა ქვემოვის პარტიული და ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში.

ამავე დროს იგი იყო არჩევითის პარტიული სამუშაოზე: მუშაობდა პოლონეთის მუშათა პარტიის ქალაქ იასლოს საპოვიატო კომიტეტის პარტბიუროს წევრად. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ქვემოვის სავოევოდო კომიტეტის პარტბიუროს წევრად. 1952 წელს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირის მთავარ გამგეობაში, სადაც იყო მთავარი გამგეობის სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგე და პრეზიდიუმის წევრი.

1958 წელს იგი სამუშაოდ გადავიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის სავოევოდო კომიტეტში, სადაც იყო სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, შემდეგ კი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის სავოევოდო კომიტეტის მდივანი. 1968 წელს იგი დანიშნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ. არჩეული იყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისა და პარტიის სხვა ყრილობების დელეგატად.

პარტიის IV ყრილობაზე იგი აირჩიეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო V ყრილობაზე — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1971 წლის აპრილიდან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. პარტიის VI ყრილობის შემდეგ 1971 წელს აირჩიეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1975 წლიდან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად და ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1972 წლიდან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დეპუტატია.

დაჯილდოებულია სახალხო პოლონეთის მშენებელთა ორდენით, პარტიზანული ჯვრითა და სხვა ორდენებით.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე სტანისლავ კანია აირჩიეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

მიფრინავს „კოსმოს-1209“

1980 წლის 3 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1209“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. მიღებული ინფორმაცია დასამუშავებლად და გამოსაყენებლად გადაეცემა სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევ და საწარმოო ცენტრ „ბუნებას“. (საკდესი).

რთველი

მზის რთველია, განა ვაზის?
ბადაგია?
ჰაერია?
თითქო მზეში მუშკ ავაზის
სურნელება გაერია.
ვინ ჩაადნო ლალში ბროლი,
ან ალმასი ვინ ათალა?
ან ოცნება ცათასწორი
ვინ აქცია წინანდალად?
ან ამ ზეცას სად ჰყავს ცალი,
ან მიწა ვინ ახავერდა,
ანუ აზრი საოცარი
ვინ ასტყორცნა ალავერდად?
ან ეს მთები ვინ მიბნიდა,
რომ დამდგარან თავჩენილად;
გაუვლია სილამაზეს
და მუდმივ აქ დარჩენილა!
ჩარჩენილა ყოველ ყლორტში,
მღერის ყველა საწნახელში;
ელვარებით, მდუღარებით,
განიერი თვალის ეშხით.
ბედის ქარტა დახეული
აქ მოდით და შეაწებეთ;
ვის გაქვთ გული დამსხვრეული,
განკურნება აქ ეძებეთ!
ალაზნის ველს,
ალაზნის ველს,
რა სჯობია სათვალმჩენოდ?
შევხედავ და მინდა მყისვე
უკვდავება დავიჩემო!

გიორგი ლეონიძე.

რ თ ვ ე ლ ს

„**მეათე** ხუთწლედს —დამკვრელური ფინიშ! საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას — ღირსეული შეხვედრა“. —ასეთია დევიზი რესპუბლიკის დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობათა ესტაფეტისა, რომელმაც სტარტი აიღო ზუგდიდში, სადაც გაიმართა კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების ხელმძღვანელთა შეკრება, რომელიც მოაწყო საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა. იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კომკავშირული ესტაფეტა დასრულდება ორი ხუთწლედის მიჯნაზე თბილისში. იგი გადაეცემა ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანას, რომლის სიმძლავრე მომავალ ხუთწლედში ერთიორად გაიზრდება.

კომკავშირის კომიტეტები, მშენებლობათა შტაბები, რომლებიც იღებენ ესტაფეტას, მოაწყობენ ესტაფეტის გადაცემის უფლების მიღებისათვის ახალგაზრდა მშენებლების შეჯიბრებას და კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების და შეჯიბრების საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ვიმპელებისათვის „საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივს დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობათა ესტაფეტის გამარჯვებულს“. ესტაფეტის დროს დამკვრელური შრომითი ვახტები და დესანტები მოეწყობა ასამოქმედებელ ობიექტებზე, გაიმართება ძირითად სამშენებლო სპეციალობებში პროფესიული ოსტატობის კონკურსები, შაბათობები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა „კომკავშირული პროექტორის“ რეიდებს სამუშაო დროის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ტექნიკის, მანქანებისა და მექანიზმების ეფექტიანი გამოყენებისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები, მშენებლობათა შტაბები ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას. (საქინფორმი).

ძ ა ლ ა ს

მ ი ვ ხ ე დ ო თ,

კომკავშირული ესტაფეტა

მუნისტების ფორუმის ღირსეული შეხვედრისათვის ახალგაზრდა მშენებლების სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლას.

საკავშირო დამკვრელური კომკავშირული ენგურჰესის მშენებლობიდან ესტაფეტა გადაინაცვლებს ქუთაისში, სადაც მიმდინარეობს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გენერალური რეკონსტრუქცია, შემდეგ იწვევა ზესტაფონს—ფეროშენადნობთა ქარხანას. აქედან იგი გაემართება დოშეთში, ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, შემდეგ რუსთავში, სადაც ერთდროულად მიმდინარეობს ორი ობიექტის — ქიმიური და მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქცია. ეს ქარხნები დამკვრელურ კომკავშირულ ობიექტებად არის გამოცხადებული. ესტაფეტა ბოლოს ბორჯომის ტყეთმცოდნეობის ტექნიკუმში, ბაკურიანში, ბაკურიანის ბალნეოლოგიურ კურორტზე, ბაკურიანის ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიებში, ბაკურიანის ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ორგანიზებულ ბალნეოლოგიურ ინსტიტუტში, ბორჯომის ტყეთმცოდნეობის ტექნიკუმში, ბორჯომის ტურბაზაში, ბორჯომის ტურბაზის ბაზაზე ორგანიზებულ ტურისტულ-ექსკურსიულ ინსტიტუტ

ღღესასწაულის აღსანიშნავად

თბილისში გაიმართა ნავთობისა და გაზის მრეწველობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს მენავთობეებს გულთბილად მიულოცა პროფესიული დღესასწაული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ. მან დაჯილდოებულთ გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც საწარმოო გაერთიანება „საქნავთობს“ მეთხუთმეტედ მიენიჭა.

საწარმოო გაერთიანების „საქნავთობის“ გენერალურმა დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა რ. თევზაძემ დამსწრეთ უამბო მიმდინარე წელს ქართველ მენავთობეთა წარმატებებზე და მათი ყურადღება მიაპყრო პრობლემებსა და ამოცანებს, რომლებიც გაერთიანების კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა გადაწყვიტოს.

საზეიმო კრებას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. დ. მახარაშვილი.

(საქინფორმი).

ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲗ

წლეულს ჩვენს პროფესიულ საკავშირო დღესასწაულს განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღვნიშნავთ. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. წლითიწლობით იზრდება ჩვენი მიღწევები.

შარშან, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობამ სახალხო მეურნეობას მილიონობით ტონა ნავთობი და მილიარდობით კუბური მეტრი გაზი მისცა. ამასთან ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოების აღმოჩენისა და მათი ათვისების ბაზაზე დადგინდა წაღიისეულთა სამრეწველო კატეგორიის დიდი მარაგი. ძირითადად ჩამოყალიბდა და საგრძნობლად გაიზარდა მათი ტრანსპორტირების მაგისტრალური სისტემა, რომელიც ნავთობის მიწოდებით აკმაყოფილებს უდიდეს ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებს, ხოლო გაზით — ქვეყნის მრეწველობასა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებს.

წლეულს ნავთობის მოპოვება გაზის კონდენსატის ჩართვით მნიშვნელოვნად გაიზრდება. მძიმე ინდუსტრიის ამ დარგის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეაქვს ჩვენი საწარმოო გაერთიანების კოლექტივსაც.

დიდი შრომითი აღმავლობითა და სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით ხასიათდება რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მომპოვებელთა საქმიანობა მეათე ხუთწლედში. გიგანტური ნაბიჯები მიიწევს წინ ნავთობ-გაზმოპოვება ჩვენს რესპუბლიკაში. მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მოპოვებულია მილიონობით ტონა ნავთობი.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის მოპოვების ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა ვადამდე, 1979 წლის 1 მარტისათვის შეასრულეთ, ხოლო მთლიანად ხუთწლედისა — წლეულს 20 მარტისათვის. გეგმამაყუნა ის, რომ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიმდინარე წლის 15 მაისს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაერთიანება „საქნავთობის“ კოლექტივის შრომის საპატიოდ პირველად აღიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი.

მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში ჩვენთვის განსაკუთრებით ხელშეშლა გამოდგა შარშანდელი სამეურნეო წელი. ნავთობის მოპოვების გეგმა გაერთიანებამ შეასრულა 25 დეკემბრისათვის, ხოლო გადიდებული ვალდებულება — 30 დეკემბრისათვის. 1978 წელთან შედარებით ნავთობის ნამატმა ათასობით ტონა შეადგინა. მოპოვებულია აგრეთვე მილიონობით კუბური მომყოლი გაზი.

ჩვენი საწარმოო გაერთიანების კოლექტივს მუშაობის ტემპი არც ხუთწლედის დამამთავრებელ წელს შეუნელებია. წარმატებით სრულდება ნავთობის მოპოვებისა და მისი რეალიზაციის დავალებანი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა გეგმები სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. მიღწეულია დადებითი შედეგები როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ისე ტონა ნავთობისა და გაზის თვითღირებულების შემცირებაში. ყველაფერმა ამან საგრძნობლად გაზარდა მუშათა საშუალო ხელფასი.

აქვე დავძენ, რომ ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივი 1975 წლის მეოთხე კვარტალიდან მოყოლებული 1980 წლის II კვარტალის ჩათვლით ზედიზედ იმარჯვებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყოველივე ეს ქართველ მენავთობეთა დაუღალავი და თავდადებული შრომის შედეგია. სამუშაოთა საერთო მაჩვენებლების შესრულებაში ყოველ ჩვენგანს შეაქვს თავისი წვლილი.

საქართველოში ნავთობის საბადოების დროული ათვისების მიზნით მეათე ხუთწლედის დასაწყისიდან ბურღვითს სამუშაოებს აწარმოებენ საწარმოო გაერთიანებების „გროზნონავთობისა“ და „კრასნოდარნავთობგაზის“ სამმართველოებიც. ეს საწარმოები მეგობრულ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის მბურღავებს ნავთობის ახალი საბადოების აღმოჩენასა და ათვისებაში. რესპუბლიკაში ნავთობის მრეწველობის დარგის აღმავლობას ემსახურებიან აგრეთვე ნავთობის სამინისტროს „საქნავთობგეოფიზიკის“ ტრესტისა და ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების კოლექტივები.

დავალებათა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებს საქმეში თავი ისახელეს ლილოს ნავთობისა და გაზის მომპოვებელმა სამმართველოს (უფროსი — ამხ. მ. ქოიავა), გეოლოგიური საძიებო კონტორის (დირექტორი — გ. ასათიანი), აღმოსავლეთ საქართველოს საძიებო ბურღვის სამმართველოს (უფროსი — ი. ნაკაშიძე), ამავე სამმართველოს მბურღავთა ბრიგადის (ხელმძღვანელი — ბურღვის ოსტატი ვ. ფრიკიშვილი) და ბეკრმა სხვა კოლექტივმა.

მომავალში დიდი პერსპექტივები ისახება ჩვენ წინაშე. ახლა ღრმა ჭაბურღილების გამოყენებით პატარა შირაქის, ტარიბანის, მარტყოფის, ნინოწმინდის, სამგორ-პატარძეულის, ნაქარალის, თელეთის, წალასკურის, რუსთავის, კავთისხევის, ჩაისუბნის, ოჩამჩირის, ლესისა და ჩოლოკის უბნებზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.

მიმდინარე წლის ბოლომდე ანალოგიური სამუშაოები დაიწყება კიდევ ოთხ რაიონში: ბაიდაში, ვაშლიანში, ჭალადიასა და ქვალონში.

სწორედ აღნიშნულ უბნებზე აღმოჩენილი ნავთობის საბადოების ხარჯზე უნდა მოხდეს სამრეწველო მარაგისა და ნავთობ-გაზმოპოვების ზრდა მეთერმეტე ხუთწლედში. ამასთან ფართო მასშტაბით განხორციელდება მენავთობეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. შენდება საცხოვრებელი სახლები, დასასვენებელი კომპლექსები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარების საწარმოო ბაზების მშენებლობას.

ჩვენი გაერთიანების კოლექტივმა სკკპ 1980 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად გადიდებული სოციალისტური ვალდებულება იკისრა და დამკვრელურად გამოაცხადა სკკპ XXVI ყრილობამდე და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამდე დარჩენილი ყოველი დღე.

რ. თევზაძე,
საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი

სურათზე: სამგორ-პატარძეულის № 93 საბურღი კოშკურა.

ᲚᲘᲐ ᲩᲔᲠᲘᲚᲘ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ

ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲡ

„ᲐᲘᲠᲔᲕᲘ ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ.

თუ პატივს დამდებთ და ამ წერილს ბოლომდე წაიკითხავთ, იქნებ ვინმეს მოეჩვენოს კიდევაც, საქართველოს რკინიგზას ახლა იმდენი სერიოზული პრობლემა აქვს გადასაჭრელი, ასეთ წვრილმანზე ლაპარაკი რა საკადრისიაო.

ბოდიშს კი მოვიხდით, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგან რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, რა რთულ პრობლემასაც არ უნდა ვიყოთ შეჭიდებული, მუდამ უნდა გვახსოვდეს ადამიანი! ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ ადამიანის აბუჩად აგდება, მისი ღირსების გათელვა არ შეიძლება და არც არავის ეპატიება. ბოლოს და ბოლოს, ყველა პრობლემა და მოუგვარებელი საკითხი ხომ იმიტომ უნდა გადავჭრათ და მოვაგვაროთ, რომ ადამიანებს გავუუმჯობესოთ ცხოვრების პირობები, გავუხალისოთ გუნება-განწყობილება!

თუმცა სჯობს პირდაპირ მოგახსენოთ ჩემი სათქმელი. აგ. 1 აგვისტოს მატარებლით „სოჭი-თბილისი“, რომელსაც ჰქვია მშვენიერი სახელი „ივერია“, ბიჭვინთას გავემგზავრე ჩემი ოჯახიანად. ბილეთები რვა დღით ადრე შევიძინე ერთ-ერთი, ფრაგილ ანგარიშგასაწევი დაწესებულების ჯავშნით. მშვიდად მივედი რკინიგზის სადგურში ნახევარი საათით ადრე, შევედი კუპეში და რას ვხედავ... ჩვენს ადგილებზე მგზავრები მოკალთებულნან...

ალბათ კუპე, ვაგონი ან თარიღი შეგეშალათ-მეთქი, ვუთხარი მათ მშვიდად და ჩემი ბილეთები გავუწოდე.

როგორ გეკადრებათ, ბატონო, — მითხრეს და ბილეთები მიჩვენეს. ყველაფერი რიგზე იყო. გაოცებულმა იმავე წუთში ავუხსენი, ვისი ჯავშანით და როდის შევიძინე ბილეთები. ჩემი დასაბუთებული ახსნა-განმარტება ერთ წუთში გამიცამტვერეს დამცინავი ღიმილით და ძალზე ლოგიკური არგუმენტით: მართალია, ჩვენ ამ ერთი საათის წინ შევიძინეთ ბილეთები, მაგრამ სამაგიეროდ, თქვენსავით თითოში 9 მანეთი კი არ მოგვიცია, 25-25 მანეთი გადავიხადეთო.

ვიფიქრე, ალბათ რაიმე გაუგებრობასა აქვს ადგილი-მეთქი და გამცილებელს მივაშურე. მე ვერაფერს გიშველთ, სადგურის მორიგე ნახეთ და მას აუხსენით საქმის ვითარებაო, — მშვიდად მომიგო გამცილებელმა. ისიც ამიხსნა, სადგურის მორიგე შემადგენლობის შუა ნაწილთან იქნება სადმე, იმავე წუთში იცნობთ, დიდი წითელი ქუდი აბურავსო.

რაღას ვიზამდი, ჩამოვედი ვაგონიდან და მითითებული ადგილისაკენ გავეშურე. სადგურის მორიგე იქ არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ვიპოვე კიდევ ოცდახუთი გაცხარებული მგზავრი, რომლებიც ჩემს ბედში ჩავარდნილიყვნენ და გაცოფებული დაეძებდნენ წითელქუდიან კაცს. შეერთებული ძალებით დაეუწყეთ ძებნა სადგურის მორიგეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი სპორტული შესაძლებლობებით ძალზე კმაყოფილი ვარჩი: ოთხჯერ ტავირბინე 22-ვაგონიანი შემადგენლობა, რამდენჯერმე შევირბინე მის კაბინეტშიც (ყველამ რიგი გაუძღო ამ მარათონს), მაგრამ... მორიგის კვალსაც ვერ მივაგენი. ამასობაში მატარებელიც დაძრა. ოცდაშვიდმა უადგილო მგზავრმა მიმავალ მატარებელზე შეტრამა ძლივს მოვასწარით.

გულახდილად მინდა ვთქვა, დიდი ხანია მატარებლით ალარ მიმგზავრია. ალბათ ამიტომ თუ იყო, რომ ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ნუ ღელავთ, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია ჩვენს რკინიგზაზეო, მამშვიდებდნენ უფრო გამოცდილი, თანაც ჩემს ადგილებზე არხეინად წამოწოლილი მგზავრები.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ მატარებლის ბრიგადირმა და გამცილებლებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს, ქალებსა და ბავშვებს თავიანთი ადგილები დაუთმეს. მამაკაცებმა კი დერეფანში გავატარეთ 18 საათი (ყველგვარ უბედურებასთან ერთად, მატარებელი ექვსი საათის დაგვიანებით ჩავიდა ბოლო სადგურში).

— ყიზლარში გადასაყვან ცხვარს მეტი პატივისცემით ეპყრობიან, ჩემო ბატონო, ვიდრე რკინიგზის მგზავრებს. იქ კაცი ვერ გიბედავს მანქანაში ნორმაზე თუნდაც ერთით მეტი ცხვარი ჩასვას! — ცოფებს ყრის ერთი უადგილოდ დარჩენილი ხანში შესული მგზავრი.

— სად გაქრა სადგურის მორიგე? — გაგულისებული ვეკითხები გამცილებელს.

— ნუთუ ვერ ხედავთ, — მიხსნის მის ნაცვლად მეორე „ჩემი კოლეგა“, — ეს ოცდაშვიდი ბილეთი სადგურის მოლარემ უკანასკნელ წუთებში გაყიდა 25-25 მანეთად, ხოლო რატომ დაიმალა სადგურის მორიგე, განა ძნელი მისახვედრია?

მართლაც არ არის ძნელი მისახვედრი. საქართველოს რკინიგზის მესვეურებს ვთხოვ თვითონ შეასრულონ სრულიად უბრალო მათემატიკური ოპერაცია და 27 გაამრავლონ 25-ზე. თანაც ისიც არ დაივიწყონ, რომ ამოდენა თანხა მხოლოდ ერთ შემადგენლობაზე „მოტხეს“. რატომ დაგვინახავთ-და სადგურის მორიგე? აღშფოთებულ მგზავრებს რატომ მისცემდა საშუალებას შექმნილიყო რაიმე დოკუმენტი?

ვინ იცის, იქნებ თავისი ქუდი სადმე ჰქონდა საიმედოდ შენახული, თვითონ კი შორიახლოს იდგა, ჩვენს გაცხარებულ ლაპარაკს ისმენდა და გუნებაში სიცილით იჭეჭებოდა კიდეც! დარწმუნებული ვარ, როგორც კი მატარებელი თვალს მიეფარებოდა, თავის ქუდს ისევ დაიხურავდა და ბაქანზე ამაყად გაივლ-გამოივლდა.

ყველაფერი კი რა მშვენივრად არის გათვლილი: მგზავრი მაინც მიდის, არავითარი კვალი არ რჩება, მართალია, გამწარებული მგზავრი იწყევლება და იგინება, იმუქრება — ამას ვიზამ, იმას ვიზამო, მაგრამ დრო სიბრაზეს თანდათან აქარწყლებს, მერე ადამიანი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ეფლობა, ჯერ გადასდებს თავისი მუქარის შესრულებას, შემდეგ კი ხელს ჩაიქნევს, მაგაზე დასაკარგი დრო სად არისო...

ეს ყველაფერი მშვენივრად იციან მოლარეებმაც, სადგურის მორიგეებმაც და — შიში და რიდი არაფრისა აქვთ...

თუკი ყველას გაუვლის სიბრაზე, შე კაი კაცო, რაღა შენ შემოგრჩა მთელი თვე, ხომ დაისვენე ბიჭვინთაში კარგად, ხომ დაიმშვიდე ნერვებიო, — იტყვიან „ჩემი“ მოლარე და სადგურის მორიგე.

ძვირფასო მეგობრებო (ბუნებრივია, „ჩემს“ მოლარეს და სადგურის მორიგეს ვგულისხმობ), ვინ იცის, ერთი თვის მანძილზე იქნებ მეც გადაყოლა სიბრაზე ველიდან და ხანვითი შეგრჩენოდათ ყველაფერი. თუ ახალი ძალით გამახსენა თავი ჩემმა მაშინდელმა აღშფოთებამ, თქვენი გაგრელი კოლეგების ბრალია. 30 აგვისტოს უკვე ბიჭვინთიდან ვბრუნდებოდით თბილისში მთელი ოჯახი — ხუთი ადამიანი, მაგრამ აი, გაგრის სადგურში ავდივარ „განთიადი-თბილისის“ — მე-4 ვაგონში და...

ამჯერად ყველა რეკორდი მოხსნეს, — ხუთივე ჩემი ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. ხუთივე მგზავრმა ამაყად გამომიწოდა თავისი 25-მანეთიანი ბილეთი. მე კი დარცხვენილმა უსიტყვოდ ჩავიდე ჯიბეში ათი დღით ადრე აღებული 9-მანეთიანი ბილეთები. ყველაფერს მიჩვევა სკოდნია, ამჯერად გასაჭირს უფრო მშვიდად და ვაქაცურად შევხვდი. მარტო ჩვენს ვაგონში ცხრა ბილეთი აღმოჩნდა ორჯერ გაყიდული. ვერც გაგრის სადგურში ვიპოვეთ ვინმე, ჩვენი გულისწყრომა რომ გამოგვეთქვა. ისევ გამოიჩინეს გულისხმიერება მატარებლის ბრიგადირმა და გამცილებლებმა.

საქართველოს რკინიგზის მესვეურნო, რა დავარქვათ ამ მოვლენას? დიახ, არ გამიარა სიბრაზემ, რადგან ისევ თვალწინ მიდგას, ვაგონის ტალანში, ჩაძინებული ბავშვით ხელში აცრემლებული დედები, რომლებსაც ჩაუშაბამეს დასვენება, ჩაუშწარეს შვებულება.

არ იფიქროთ, ამხანაგებო, რომ ეს უმსგავსობა ვაგონის ტალანში ერთი თეთრად გათვლებული ღამეა მხოლოდ. ის ბავშვები, ის ახალგაზრდები, ახალი სასწავლო წლისათვის რომ მოეშურებოდნენ სკოლებისა თუ უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, სულ სხვა და სამართლიან დასკვნებს აკეთებენ ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტებიდან. ჩვენ მათ მორალს ვუკითხავთ, იდეალური წესრიგისაკენ მოვუწოდებთ, პატიოსნებისა და სამართლიანობის გრძნობას ვუღვივებთ. უშუალო ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობით გალაღებული და გათავხედებული რამდენიმე ნაძირალა კი თავისი გაუმაძღარი ბუნებით წყალში ყრის ამდენ შრომას და მონდომებას.

ადამიანის მოფრთხილება, მისი ღირსების დაცვა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა. ყველაფერი ადამიანისათვის! — ესაა ჩვენი პარტიისა და მთავრობის დევიზი.

აი რა არ უნდა დაგვავიწყდეს, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელებო!

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ.

P.S. წერილი დაბეჭდვამდე ერთ ჩემს მეგობარ მწერალს წავაკითხე. მან მხრები აიჩეჩა და მითხრა: გამოქვეყნებას რა აზრი აქვს, წინასწარ ვიცი, ამ წერილს რაც მოჰყვება, დიდი-დიდი მოლარე და სადგურის მორიგე გაათავისუფლონ სამსახურიდან, მათ ადგილზე ახლადდანიშნული კი წინამორბედთა ტრადიციულ საქმიანობას ჩვეულებრივად გააგრძელებენო. ვინ იცის, იქნებ მართალიც არის ჩემი მეგობარი, და თუ მაინც ვაქვეყნებ ამ წერილს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გავტეხე სიტყვა, ვაგონის ტალანში რომ მივეცი ჩაძინებული ბავშვებით ხელში აცრემლებულ დედებს.

ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲗ

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 16

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის **„პარტიული სიტყვის“** მორიგი, მეთექვსმეტე ნომერი.

ნომერში დაბეჭდილია: სკკპ ცენტრალურ კომიტეტში — სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ; „სპორტი მშვიდობის დესანია“ ამ რუბრიკით ჟურნალი აქვეყნებს ბ. ქორქიას წერილს — დიდებული ოლიმპიადა; რუბრიკით „დამკვრელურად დავამთავროთ მეათე ხუთწლედი“ გამოქვეყნებულია წერილები: ჯ. კახიანი — მომავლის განკვრეტით; ქ. ბარამიძე — მიზნისაკენ; რუბრიკით „დღეს როგორც ვიზრომებთ, ხვალ ისე ვიცხოვრებთ“ დაბეჭდილია დ. იასეშვილის წერილი — კვლავაც რწმენით (სადაც თაოსნობა იმავა); განყოფილებაში „კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა“ გამოქვეყნებულია თ. გიორგაძის — სხვისი ჭირი გვიჩნდეს ჭირად.. და მ. პატაშურის — მოვალეობის მოხდის მიზნით?; „მკითხველი გვწერს, შენიშნავს, ამხილებს“ — ამ რუბრიკით ჟურნალი აქვეყნებს წერილებს: გ. რამიშვილი, დ. დადიანი — სახელიანი კაცი; ბ. ჯინჭარაული — ამბონ უწყლოდ?; ი. რაზმაძე—წმენდაურში ნო წამიყვან...; ა. დვალი — რეკლამასაც სიფრთხილე სჭირდეს; რუბრიკით „ამ ტრიალ ქვეყანაზე“ დაბეჭდილია ე. მენაბდის საერთაშორისო მიმოხილვა — ხუთი წლის შემდეგ და სხვა მასალები.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ვარშავა, 6 სექტემბერი. პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, რომ აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ჰ. იაბლონსკის თავმჯდომარეობით.

ე. გერეკის სერიოზულ ავადყოფობასთან დაკავშირებით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი გაათავისუფლა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთსულოვნად აირჩიეს სტანისლავ კანია. მან პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კაზიმეჟ ბარჩიკოვსკი და ანჯეი ჟაბინსკი აირჩია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად, ხოლო ტადეუშ გრაბსკი, ზდისლავ კუროვსკი და ეჟი ვოტეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად.

ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 6 სექტემბერი. პარაგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის აქ გავრცელებული განცხადების თანახმად, 27 აგვისტოს არგენტინის დედაქალაქში შეიპყრეს პარაგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონიო მაიდანა.

„განცხადებაში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ბუენოს-აირესში „პარაგვაის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მარსიალ სამანიეგოს ამასწინანდელი მოგზაურობა დაკავშირებულია სტრესნერის დიქტატორული რეჟიმისათვის მაიდანას გადაცემის შესახებ მოლაპარაკებასთან“.

ა. მაიდანა, ხაზგასმულია დოკუმენტში, თავისი სამშობლოს მეზობელ ქვეყანაში ჩამოვიდა იმ უკანონოთ, რომ რაც შეიძლება უმეტეს ემსახურა პარაგვაელი ხალხისათვის.

პარაგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიამ მოიწოდა „პარაგვაელი ხალხისადმი სოლიდარულ ყველა ორგანიზაციას, პოლიტიკურ პარტიებს, შუშმა პროფკავშირებს, სტუდენტთა ცენტრებს, შეიარაღებული ძალების პატრიოტულად აზმოწყობილ ოფიცრებს დაეუყოვნებლივ დაეხმარონ ა. მაიდანას და მოსთხოვონ არგენტინის მთავრობას სასწრაფოდ ჩაერიოს საქმეში და გაარკვიოს პარაგვაელი პატრიოტის ადგილსამყოფელი“.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პოლიციას სახელი გაუტეხა მეთოდებმა, რომლებითაც უსწორდება იგი კონსერვატორთა მთავრობისათვის „არასასურველ“ პირებს. საზოგადოებრიობა „წეხრიგის დამცველთა“ სიმკაცრის ხულ ახალ და ახალ ფაქტებს იგებს. მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ინგლისისა და უელსის სპეციალიზებულ უბნებში 240 კაცი დაიღუპა.

სურათზე: პოლიცია უსწორდება პიკეტის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად დათხოვნების წინააღმდეგ გამოდიოდა.

საკადრ.-საქინფორმის ფოტო.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

„ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲘᲓᲐᲜ“ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ?

როდესაც პრეზიდენტმა ნიქსონმა ხელი მოაწერა შანხაის ცნობილ კომუნიკეს და ამით საფუძველი ჩაეყარა ამერიკა-ჩინეთის ახალ ურთიერთობას, ორივე ქვეყანაში ცოტას თუ სჯერდა, რომ მოკრძალებული ორმხრივი კონტაქტები თითქმის სამხედრო თანამშრომლობაში გადაიზრდებოდა. ათი წელიც არ გასულა შანხაიში ნიქსონის ვიზიტიდან და ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობამ ერთობ შთამბეჭდავი ფორმები მიიღო. თუმცა აქვე ერთი რამ უნდა აღინიშნოს, ხსენებული ურთიერთობა გაცილებით სწრაფი ტემპით ვითარდება სამხედრო სფეროში, ვიდრე ეკონომიკურში. სამხედრო კონტაქტები განსაკუთრებით გაღრმავდა ჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ბრაუნის ვიზიტის და ამერიკაში გენ ბიაოს სპეციალი ვიზიტის შემდეგ.

ამ მხრივ ახალი ნაბიჯი გადადგა გასულ კვირაში, როდესაც ჩინეთში გაემგზავრნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე სამეცნიერო-კვლევითის სამუშაოებში დოქტორი პერი (პერი ბირთვული შეიარაღების დარგის სპეციალისტად ითვლება) და თავდაცვის მინისტრის თანაშემწე დაზვერვის, კომუნიკაციების, კონტროლისა და ხელმძღვანელობის დარგში დანინი. აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის საკითხში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ჰოლბრუკის თქმით, პერისა და დანინის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც „ორი ქვეყნის თავდაცვითს სისტემათა შორის მზარდი ურთიერთობის შემადგენელ ნაწილს“. ამავე კონტექსტით უნდა განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის კლაცნეკის სიტყვებიც: „შეერთებული შტატები ამიერიდან ერთი საზომით არ უდგება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს ექსპორტისადმი კონტროლის საკითხში. პრეზიდენტმა კარტერმა მოიწონა საექსპორტო ლიცენზიათა გაცემის კრიტერიუმი, რომელიც ჩინეთში ექსპორტის უფრო ლიბერალურ ფორმებს უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირთან შედარებით“.

მართალია, ჯერჯერობით ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ იარაღს უშუალოდ არ მიაწვდის ჩინგთს და არ ადგენს მასთან საბჭედრო კავშირს, მაგრამ იგივე ჰოლბრუკი ამ გარემოებას იმით ხსნის, თითქოს „საერთაშორისო ურთიერთობა არ მოითხოვდეს“. მაგრამ რა გარანტიაა, რომ ერთ შშვენიერ დღეს ვაშინგტონში არ იტყვიან, საერთაშორისო ურთიერთობა ამას უკვე მოითხოვსო? მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინათ იგივე ჰოლბრუკმა ამერიკა-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობ ეროვნულ საბჭოში განაცხადა, „ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ და კიდევაც დავეხმარებითო ჩინეთს საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცებაში“, როგორც ვხედავთ, ფორმულირება ეგზომ ზოგადი და ყოველისმომცველია.

მართალია, მომავლის დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია — ასე იწყება ნებისმიერი სამხედრო კავშირი.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲜᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲨᲘ

ჩვენ, აღნიშნა შემდეგ ი. პინკოვსკიმ, წინაადგუდგებით საარსებო მინიმუმის უსაფუძვლო გადიდებას. ამ მიზნით გაძლიერდება კონტროლი ფასებისადმი. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ფასები გაიყინება მომავალი წლის შემოდგომამდე. მთავრობა განაზორციელებს აგრეთვე ისეთი მეტისმეტი შემოსავლის მიღების საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რომლებიც არ შეესაბამება შრომითს წვლილს. თანდათან სრულყოფთ ცხოვრების ღირებულების შეფასებისა და სოციალური მინიმუმის განსაზღვრის მეთოდებს.

გამოსვლაში აღინიშნა, რომ მთავრობამ დაადგინა განაახლოს შაქრის ბარათებით გაყიდვა და ამგვარად უზრუნველყოს, რომ ყოველ ოჯახს ჰქონდეს მისი შეძენის შესაძლებლობა.

პოლონეთის სახალხო

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ

ᲥᲕᲐᲑᲘᲡᲬᲔᲕᲘᲡ ᲤᲠᲔᲡᲙᲘᲡ ᲑᲐᲠᲨᲔᲛᲝ

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲗᲐᲜ“ 1948 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ „ᲥᲕᲐᲑᲘᲡᲬᲔᲕᲘᲡ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲘᲗ“. ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ, ᲥᲕᲐᲑᲘᲡᲬᲔᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲖᲔᲠᲐᲒᲖᲐᲗᲐᲡ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲤᲠᲔᲡᲙᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ“. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

დიდი სიმართლის ხელოვნება

აფხაზეთში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლების გამო.

ამელ თვეს თვალწარმტაც აფხაზეთში ყოფილა მშვენიერი მელოდიები. ჩვენი თბილისელი ძმების შესანიშნავმა მუსიკამ მოაჯადოვა ავტონომიური რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი მაყურებელი და თავიანთი ნიჭის ერთგულ თაყვანისმცემლებად აქცია ისინი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი გასტროლების დროს წარმოადგინა ქართველი ხალხის დიდი და საინტერესო კულტურა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა უჭკნობი ფოლკლორის შედევრებს.

როგორც მეგობრობის დესპანებმა, მათ აფხაზ ძმებს თავიანთი ხალხის სულიერი მემკვიდრეობა მუსიკის მშვენიერი ენით გააცნეს. რეპერტუარის ყოველი სცენური ნაწარმოები მაქმანივით იყო ნაქსოვი დრამატურგიის, მუსიკის, ვოკალისა და ქორეოგრაფიისაგან. აქ, ნატიფი ქართული ოქრომჭედლობის დარად, აისახა დიდი ადამიანური ვნებები, ხოლო ძიებები და ოცნებები ლამაზი ხმებისა და პლასტიკური მოძრაობების საშუალებით გამოკვეთილია ყოველგვარი ემოციურ-რომანტიკული, მაგრამ უაღრესად ცხოვრებისეული, მართალი სახეებით.

სახელმოხვეჭილმა თეატრმა მნიშვნელოვანი ეროვნულ-პატრიოტული როლი შეასრულა, რადგან თავისი სცენა არა მარტო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების, არამედ ნიჭიერი ახალგაზრდების ნაწარმოებებსაც დაუთმო. დიდია თეატრის დამსახურება ორიგინალური საოპერო და საბალეტო ხელოვნების ჩამოყალიბებაშიც. და დღეს აკადემიური თეატრის სახელოვან ტრადიციებს განამტკიცებენ და ღირსეულად განაგრძობენ მისი მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სოლისტები. მათ არ ჩამოუვარდება ახალგაზრდა თაობაც, რომელმაც თავისი შემოქმედებით მაყურებელთა სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

დღეს, ისევე, როგორც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, თეატრი დაძაბულ შემოქმედებითს ძიებაშია, დიდ ემოციურ და ესთეტიკურ აღმავლობას განიცდის. ამის მკაფიო დადასტურებაა მისი ფართო რეპერტუარი, რომელიც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მაყურებელთა სამსჯავროზე წარადგინეს. მრავალრიცხოვანი მაყურებელი გაეცნო დასავლეთევროპული კლასიკისა და ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. თეატრის საგასტროლო აფიშაში მთელი თვის განმავლობაში ნაჩვენები იყო ოპერები — ვერდის „ოტელო“ და „ტრავიატა“, როსინის „სევილიელი დალაქი“, პუჩინის „ტოსკა“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, აგრეთვე ეროვნული ოპერები — ფალიაშვილის „დაისი“, დოლიძის „ქეთო და კოტე“, თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ და ლაღიძის „ლელა“.

ხორცს ასხამს რა სცენაზე ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს, თეატრი აყენებს და პოულობს პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომლებიც განსაზღვრავს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობა თავისი რეპერტუარის შერჩევაში უფრადღებას ამახვილებს თავისი სოლისტების შემოქმედებითს წვასა და ინდივიდუალობაზე და დასადგმელად ისეთ ნაწარმოებებს არჩევს, რომლებშიც განსაკუთრებით მკაფიოდ შეიძლება გამოვლინდეს თითოეული მსახიობის შემოქმედებითი დიაპაზონი.

თეატრის საბალეტო ხელოვნება წარმოდგენილი იყო ისეთი სპექტაკლებით, როგორიც არის: ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, მინკუსის „დონ კიხოტი“, ადანის „ჟიზელი“, გაბიჩვაძის „მედეა“ და ერთაქტიანი ბალეტები, რომლებშიც თეატრი ისწრაფვოდა ეჩვენებინა ადამიანის სულის სილამაზე, განესაზღვრა თავისი ძირითადი თემა: ადამიანი და საზოგადოება. ხოლო შემსრულებელთა შესანიშნავმა შემადგენლობამ, დირიჟორების, რეჟისორების, ბალეტმაისტერების შეწყობილმა მუშაობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საქართველოს მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნება მაღალ პროფესიულ დონეზეა.

ერთი თვის განმავლობაში ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებსა და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დამტკბარიყვნენ შესანიშნავი ოსტატების ხელოვნებით, ენახათ ამ კოლექტივის საუკეთესო ნამუშევრები.

დიდია თეატრის დამსახურება ქართული ეროვნული საოპერო მუსიკის შექმნისა და განვითარებაში, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია თავისი მიღწევებით ახარებს მსმენელებს. და, რა თქმა უნდა, საგასტროლო რეპერტუარის მხოლოდ ოთხი ეროვნული ოპერა ამომწურავად ვერ გამოავლენს საოპერო ნაწარმოებების შექმნის დარგში ქართველ კომპოზიტორთა მიღწევებს, მაგრამ ისინი წარმოდგენას გვიქმნის რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის განვითარების გზებზე.

თავისი გასტროლები თეატრმა გახსნა ქართველი კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ ტრადიციული ჩვენებით. ამ სპექტაკლზე ბევრი რამ დაწერილა და ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მთავარი პარტიების შემსრულებელმა ახალგაზრდობამ გვიჩვენა: თბილისის ოპერის მომავალი საიმედო ხელშია. თავიანთი შესანიშნავი ვოკალური მონაცემებით გაგვახარეს თ. გუგუშვილმა (მალხაზი) და ლ. ასათიანმა (კიახო). სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას ხელოვნების სიხუმელი თაყვანისმცემლები ერთხელ კიდევ გაახარა შეხვედრამ მასთან, და მისი ნაზი, მომზიბვლელი მარო თითოეული ჩვენგანის ხსოვნაში დარჩა. სახელმოხვეჭილმა მომღერალმა ფსიქოლოგიურად ფაქიზად, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად გვიჩვენა ერთგული სატრფოს — მაროს სულიერი ტკივილი. მომღერლის ნიჭის წყალობით მაროს სახე დაუფიწყარი იქნება მაყურებლისათვის. მშვენიერია ამ სპექტაკლში ცანგალას სახეც, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ი. შუშანიამ შექმნა. ამჯერადაც ხალხური სულისკვეთებით, ზნეჩვეულებებით, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორით აღსავსე ოპერა „დაისი“ დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავების კიდევ ერთი დადასტურება გახდა.

ნაჩვენები იყო აგრეთვე ვ. დოლიძის ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. შესანიშნავი შემსრულებლების — საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. მკერვალიძის (ქეთო), ლ. ასათიანის (თავადი), ს. ტოგონიძის (ბარბარე), მ. დონაძის (საქო), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ვ. კანდელაკის (სიკო) წყალობით თეატრმა შეძლო შეექმნა სპექტაკლი, რომელიც აღსავსეა სიხალისით და ხალხური იუმორით.

კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით შექმნილი ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ ჩვენ თვალწინ აცოცხლებს იმ წლების ამბებს, როცა ხალხი ახალი ცხოვრების, ნათელი მომავლის გზას კვალავდა. სპექტაკლში დასახსოვრებელი სახეები შექმნეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ც. ტატიშვილმა (თამარი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ნ. ანდღულაძემ (არზაყანი), ი. შუშანიამ (კაც ზვამბაია), სოლიტმა ე. გეწაძემ (თარაში) და სხვებმა.

რ. ლაღიძის ოპერა „ლელაში“ აღწერილია რომაელთა შემოსევა საქართველოს მიწა-წყალზე, ხალხის ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. მთელ საოპერო სპექტაკლს გასდევს ლელას ბედი, რომლის პარტია სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა შეასრულა. დადგმა გიზიდავთ ხალხის გმირობის ფართო პანორამით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეატრმა წარმოადგინა დასავლეთევროპული კლასიკის ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა ვერდის ოპერა „ოტელო“. მთავარ პარტიას ასრულებდა გამოჩენილი ქართველი მომღერალი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ზურაბ ანჯაფარიძე. იგი თავისი მელოდიური და მძლავრი ხმით არა მარტო „ჭედავს“ მზედართმთავრის სულიერ დრამას და ფილოსოფიურ მის ბედს, არამედ დრამატული აქტიორული ოსტატობით ახლობელს ხდის მსმენელებისათვის თავისი გმირის სახეს, სპექტაკლის დამსახურებულ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა მედეა ამირანაშვილმაც (დეზდემონა), რომლის რეპერტუარში, სხვათა შორის, მსოფლიო კლასიკის საუკეთესო და ურთულესი პარტიებია.

კლასიკაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დიდი იტალიელის კიდევ ერთი ქმნილება „ტრავიატა“. სოხუმელ მსმენელებს ძალზე მოეწონათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ტუღუში ვიოლეტას პარტიაში, რომელმაც ღრმად და გულში ჩამწვდომად განასახიერა თავისი გმირი.

და კიდევ ორმა კლასიკურმა იტალიურმა ოპერამ დაამშვენა თბილისელთა საგასტროლო რეპერტუარი. მხედველობაში გვაქვს როსინის ხალისიანი ოპერა „სევილიელი დალაქი“ და პუჩინის „ტოსკა“.

კლასიკურ იტალიურ ოპერებთან ერთად თეატრი წარმატებით დგამს აგრეთვე ოპერებს, რომლებიც რუსული კლასიკური რეპერტუარის ნიმუშებია. მათ შორის არის ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტა“, რომელშიც მთავარ პარტიას სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მ. ამირანაშვილი ასრულებს.

ყველა თავის დადგმაში — მსოფლიო რეპერტუარის კლასიკური ოპერა იქნება ეს, თუ ქართველი ავტორის ნაწარმოები — თეატრი მუსიკის ენით გვიჩვენებდა ადამიანის ღირსებას, მის სულიერ სილამაზეს. მათ შორის არის ჩაიკოვსკის უკვდავი „გედის ტბა“, მინკუსის „დონ კიხოტი“, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვ. ჭაბუკიანმა, ლირიზმით, პოეზიით აღსავსე ადანის „ჟიზელი“, რომელიც თითქოს დასტირის და ამაგე დროს ადიდებს სიყვარულს, და ევრიპიდეს ძველბერძნული ტრაგედიის მოტივებზე დადგმული რ. გაბიჩვაძის „მედეა“ (ბალეტმაისტერი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ალექსიძე).

გარდა ამისა, თეატრის რეპერტუარში იყო რამდენიმე არაჩვეულებრივი ერთაქტიანი ბალეტი. აფხაზეთის მაყურებელი მხურვალედ უკრავდა ტაშს ბალეტის ოსტატებს ი. ჯანდიერს, ნ. არობელიძეს, ც. ბალანჩივაძეს, მ. გოდერძიშვილს, ს. ტერეშჩენკოს, რ. ნოვაკს...

ერთი თვის მანძილზე მთელი აფხაზეთი თითქოსდა სულდგმულობდა მუსიკით, რადგან ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო და უაღრესად საინტერესო კოლექტივის სპექტაკლები უჩვენეს არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში, არამედ მის ბევრ ქალაქსა და სოფელში, აგრეთვე კულტურის სასახლეებში, კლუბებში და სტადიონებზე, თეატრის წმაყვანი სოლისტების მონაწილეობით საკონცერტო პროგრამები უჩვენეს აფხაზეთის მთის სოფლებშიც. მეგობრობის, ხელოვნებისა და შრომის დიდ დღესასწაულად გადაიქცა, მაგალითად, ზ. ანჯაფარიძის, ნ. მკერვალიძის, თ. მუშაკიძიანის, ნ. გელაშვილის, მ. დონაძისა და სხვათა შეხვედრა გულიდან რაიონის მთის სოფელ ამტყელის მშრომელებთან. მუსიკამ და მომღერალთა მშვენიერმა ხმამ თითქოს არა მარტო მაყურებლები, ასე განსაჯეთ, აფხაზეთის მარად მშვიდი, დათოვლილი მთის მწვერვალებიც კი მოაჯადოდა.

ამ გასტროლებზე გადაუპარებელად შეიძლება ითქვას, რომ მუსიკის მშვენიერი ენა, მღელვარე ემოციების ენა საამედო იარაღია ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საქმეში, ხოლო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების წინა ხანებში მოძმე ქართველი ხალხის თეატრის გასტროლები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, რადგან ყველანი ჩვენ ვშრომობთ ერთ ოჯახად დიდი ლენინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თბილისის ოპერისა და ბალეტის მაღალპროფესიულ შემოქმედებითს კოლექტივთან შეხვედრამ ხელი შეუწყო მისი მსმენელების ესთეტიკური გემოვნების დახვეწვას, და აფხაზეთის მშრომელ ხალხთან ამ შემოქმედებითმა შეხვედრებმა წარუშლელი მთაბეჭდილება დატოვა მშვენიერების სამყაროსთან ზიარების გამო, ვინაიდან გულის სღრმიდან მომავალი მუსიკისა და სიმღერებისათვის არ არსებობს დაბრკოლებანი და გაუგებრობანი. მუსიკა, როგორიც გინდა იყოს იგი — კლასიკური თუ ხალხური — სოციალისტური სამყაროს ერთ ერქვეშ მცხოვრები მომმე ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების შესანიშნავი ენაა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვათ, რომ საგასტროლო წარმოდგენების შემდეგაც თითქმის ყველას პირზე ეკერა: — გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენნი ნათელი მუსიკალური ხელოვნებისთავის! ამისათვის, რომ გსურდათ გეჩუქებინათ ჩვენთვის ქართული საოპერო და საბალეტო შემოქმედების მუსიკალურ ტრადიციებთან თანაზიარობის წუთები!

ა. არლუნი,
აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

მეგობრობის მარშრუტები

● სოჭემგზერში დელსა და ბომბეიში გაემგზავრება საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის მასწავლებელი ბარბალე ნიკოლაშვილი — „ქართული სასცენო მეტყველების“ სალექციოდ ნელოს ავტორი. თავის კონცეფციაში იგი ეყრდნობა ინდოელი ოოგების სუნთქვის სისტემას, რომელიც დიდ როლს ასრულებს სასცენო მეტყველების ჩამოყალიბებაში, ვოკალისტებისა და დრამატული თეატრის მსახიობთა ხმის დამუშავებაში. ქართველი სპეციალისტი საბჭოთა პედაგოგიკურ პრაქტიკაში პირველად მიმართავს ამ სისტემის საფუძვლებს. შოგზაურობის მიზანია ინდოეთის თეატრალურ სასწავლებელში სასწავლო პროცესების დაწვრილებით გაცნობა, გამოცდილების გაზიარება.

● ბერლინში სრულყოფს თავის ოსტატობას თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტი ფერმწერი ნიკოლოზ ხერკელაძე. იგი გერმანიაში გაემგზავრება საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებს შორის ასპირანტთა გაცვლის წესით. მისი გამგზავრება თვალნათლივ მოწმობს ორი ქვეყნის ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი კონტაქტების შემდგომ გაფართოებას. (საქინფორმი).





სურათებზე: ზემოთ — ვ. მაიაკოვსკის ძეგლი თბილისში მეგობრობის პორსაჩქეზე; თელავი, სასტუმროს შენობის ხედი.

ნ. ნათელაშვილის ფოტო.

მაყურებელს მოეწონა

სამხრეთ ოსეთში საგასტროლოდ იყო ჩრდილოეთ ოსეთის მუსიკალური სახელმწიფო თეატრი. გარდა ცხინვალისა, მათ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ჯავის, ლენინგორის, ზნაურის რაიონის მშრომელებს.

დიდი წარმატება ხვდა სპექტაკლებს — ფ. ლეგარის „ბობათა სიყვარული“, (რეჟისორი — რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. შაბოვსკაია) და რ. გაჯიევის „დედა, ცოლს ვირთავ“ (რეჟისორი — ზ. ცალიკოვა).

მაყურებელს მოეწონა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ხასიევას, დამსახურებული არტისტის ა. გულიევას, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ე. კულაევას მიერ შექმნილი სახეები („კომუნისტის“ კორ.).

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

გოგონებმა იმარჯვეს

ლენტეხი. (საკ. კორ.). ფაფარაკი შეემთხვა მთა სგამერში მოიალადე საზოგადოებრივ პირუტყვს. მთის ჩანჩქერის გვერდით თხელმა ყინულმა მასზე გასული პირუტყვის სიმძიმეს ვერ გაუძლო, ჩატყდა და თან ოთხი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჩაეტანა. მოხდა სასწაული, ღრმა ნაპრალში ცხოველები ცოცხლები დარჩნენ.

მამაცობა გამოიჩინეს ხელედინის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მწყემსებმა მანიკა ბენდელიანმა და მაყვალა ჩარქსელიანმა, გოგონები არ შეუშინდნენ საფრთხეს და დიდი წვალებით პირუტყვი ნაპრალიდან უვნებლად ამოიყვანეს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

პრეზიდენტთა ნახვამდე

ᲓᲔᲥ ᲛᲐᲒᲠᲘᲗᲐᲜ

ᲙᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲪᲚᲔᲚᲘᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

გუშინ ვილნიუსში, მეცნიერებათა აკადემიის სახლში გაიმართა ალექსანდრია-ლიტინსკაიას მატჩის პირველი პარტია. თეთრებით თამაშობდა ლვოველი დიდოსტატი.

მეტოქეებმა გაითამაშეს ერთი ერთი სისტემა ლაზიერის პაიკის დასაწყისში, რომელიც დამუშავებულია ცნობილ ავსტრიელ დიდოსტატ კარლ შლეხტერის მიერ. ლიტინსკაიამ თეთრებით ვერ შეძლო უპირატესობის მიღება. ლაზიერების გაცვლის შემდეგ წარმოიქმნა დაახლოებით თანაბარი პოზიცია. შემდეგში ალექსანდრიამ თანდათანობით აჯობა მეტოქეს და მოიგო პაიკი. პარტია გადაიდო.

დღეს მეორე პარტიაა.

პირველი ტაიმ-აუტი

ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მეოთხე პარტია ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა იოსელიანს შორის, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, არ შედგა. პირველი ტაიმაუტი გამოიყენა ნანა იოსელიანმა. აღნიშნულ პარტიას პრეზიდენტები ითამაშებენ 9 სექტემბერს— სამშაბათს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე თმეტი ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ზაბაროვსკის „სკა“ და დაამარცხა დიდი ანგარიშით — 5:1, ლენინგრადში „გურიამ“ კი უმასპინძლა „კუზბასს“ და მოუგო 2:0.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ნისტრუ“ — „სპარტაკი“ (ი. ფ.) — 2:1, „დინამო“ — „სკა“ (ოდესა) — 1:0, „სპარტაკი“ (ო.) — „მეტალურგი“ — 3:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ტორპედო“ — 0:0, „ზარია“ — „ისკრა“ 1:1, „მეტალისტი“ — „ავანგარისი“ — 1:0, „დნეპრი“ — „ფაკელი“ — 2:1, „კოლოსი“ — „შინიკი“ — 1:1, „ამმონი“ — „ურალმაში“ — 1:0, „ბუსტონი“ — „კრილია სოვეტოვი“ — 2:1.

გაცნობებთ საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის შეეხებ ზონის ბოლო ტურის მატჩების შედეგებს:

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (ბ.) — 3:1, „დილა“ — „კოლმეურეობა“ — 5:1, „პროგრესი“ — „დინამო“ (ზ.) 4:1, „მეტალურგი“ — „დინამო“ (ს.) 2:3, „არაზი“ — „ავტომობილისტი“ — 1:5 „ზარი“ — „კოლხოზჩი“ — 4:1, „არაბკირი“ — „კოტაიკი“ — 1:1.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

რეგბი. გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა მორიგი ყალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობისა რეგბში. თბილისის „ლოკომოტივმა“ უმასპინძლა მოსკოვის გაგარინის სახელობის სამხედრო ავიაციო აკადემიის გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

დღეისათვის თბილისის „ლოკომოტივს“ 19 ქულა აქვს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. მექსიკაში გამართულ ჭაბუკთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე ჭადრაკში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები მოსკოვთა შორის ა. იუსუპოვი, ს. ფილმატოვი (ორივე მოსკოვი) და დიდოსტატები ა. კოროტეევი (ნინინგრადი) და ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), ოსტატები ა. ივანოვი (ბორკი) და ე. ფენგისი (რიგა).

საერთაშორისო შაში. ლენინგრადის პატარა ქალაქ რეზეკნეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ტურნირი მეექვსე გუნდური ჩემპიონატის საერთაშორისო შაში ევროპის სამგზის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრები ბელგიელ ტურში შეხვდა ბელგიის ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ამავე ანგარიშით ჰოლანდიელ ნაკრებმა დაამარცხა შვეიცარიელ ბოლო ისრაელმა — ფიგურალი ვია. მატჩი საფრანგეთისა და ალიის ნაკრებ გუნდებს შორ დამთავრდა ფრედ — 1,5:1,5.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

7 სექტემბერი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ).. 09.40 — „ეროდინას ეკრანი“, 10.00 — „მოსწავლეთათვის“ — „პირველი ცდა“, 10.35 — მოსწავლეთათვის ბრაგრული ფილმი „ნოთელი ყელსახვევი“, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მ.) 12.45 — „კინოფიფა“, 13.15 — „ოლიმპიელები შინ ბრუნდებიან“ (მ.), 13.30 — „ვისაღიარებ“ (ფ.), 14.00 — „კინოს მოგზაურობა“, 15.40 — „ამ ახალ საქართველოს, ამ შენებას!“ წულუკიძის რაიონი (ფ.), 16.40 — „დღეს ნავთობისა და გაზის მრეწველობის“ — „ამ.ა.ა.ა